შოთა გეწაძე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს უვადო მოსამართლე

აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა	2
პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)	10
დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები	12
კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი	13
კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა	14
კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები	21

2003-2006 წლებში შოთა გეწაძე მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომის მდივნად, შემდგომში კი – თანაშემწედ. 2006-2007 წლებში მას მცხეთის რაიონული სასამართლოს აპარატის უფროსის თანამდებობა ეკავა, ხოლო 2007-2009 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსად. 2011-2015 წლებში იგი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე. 2015 წლიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის უვადოდ დანიშნული მოსამართლე. 2011-2017 წლებში მოსამართლე შოთა გეწაძე იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

ღია საზოგადოების ფონდი

1. კანდიდატის პროფესიული/ აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

1. გადაწყვეტილებები, განსხვავებული აზრი, სასამართლო წარდგინებები

1.1. სამართლებრივად საინტერესო ან პრეცედენტული გადაწყვეტილებები

სამართლებრივი საკითხი: საჯარო სამსახურიდან მოხელის გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის საფუძველზე და მისი იძულება, საკუთარი განცხადებით დაეტოვებინა სამსახური.[1]

ფაქტები: 2014 წელს ი.კ.-მ ტელევიზიით გაავრცელა მის მიერ გაკეთებული აუდიო-ვიდეო ჩანაწერი, რომელშიც ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი და მისი მოადგილე სთხოვდნენ, საკუთარი ნებით დაეტოვებინა სამსახური, ვინაიდან სხვა პოლიტიკური გუნდის წევრი იყო. ამასთან, განუმარტავდნენ, რომ არსებობდა უამრავი მეთოდი, რომლითაც შეიძლებოდა ადამიანის სამსახურიდან გათავისუფლება. მანვე სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა: **„ეს ყველაფერი ხდება ძალიან ორგანიზებულად. ქალაქის ვიცე მერი ბატონი ა.მ. ხელმძღვანელობს ამ პროცესს და ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი არსებობს, თუნდაც ის, რომ სუს-ის თანამშრომლები ესწრებიან ამ, უხეშად რომ ვთქვათ, თანამშრომლების დაკაჩავებას“**.

ქ. თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურმა ჩაატარა წარმოება შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტზე და დაასკვნა:

„ვინაიდან ი.კ-მ ტელევიზიით განცხადებები გააკეთა ქ. თბილისის ვიცე მერის ა.მ.-ს ხელმძღვანელობით თანამშრომლებზე ზეწოლის განხორციელების ფაქტებზე, მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, სამსახურმა მიიჩნია, რომ მისი ქმედება იყო ქ. თბილისის ვიცე მერის ა.მ.-თვის სახელის გამტეხი და ზიანის მიმყენებელი, არსებითად მცდარი ფაქტის თაობაზე მიზანმიმართული განცხადება, რითაც ზიანი მიადგა ა. მ.-ს და ქ. თბილისის მერიის რეპუტაციას. **ქცევის ზოგადი წესების მოთხოვნების არაჯეროვან შესრულებასთან ერთად, ი.კ,-მ ჩაიდინა მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი**“.

ზემოხსენებული მსჯელობა საფუძვლად დაედო ი.კ.-ს[2] საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებას. თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების დისკრიმინაციული მოტივი ვერ დაადგინა. თუმცა, სააპელაციო სასამართლოს პალატამ, მოსამართლე შოთა გეწაძის მონაწილეობით, დაადგინა, რომ მოსარჩელე სამსახურიდან გაათავისუფლეს პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის საფუძველზე.

---

[1] **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება (N3ბ/1907-15)**

[2] **გათავისუფლების მომენტში იკავებდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ინსპექტირების სამმართველოს კრწანისის რაიონული განყოფილების უფროსის თანამდებობას.**

შესაბამისად, მოპასუხე მხარეს, ქ.თბილისის მერიას, მოხელის სამსახურში აღდგენა დაავალა. მოსამართლემ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხზე:

- **საჯარო სამსახურში პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის მხილება, როგორც სამსახურიდან გათავისუფლების უკანონო საფუძველი ქ. თბილისის მერიის თანამდებობის პირების მხრიდან**

მოსამართლემ მიუთითა, რომ **„ის განცხადებები, რომლებიც მოხელემ გააკეთა მის წინააღმდეგ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციასა და ზეწოლაზე, არ შეიძლება ჩაითვალოს უღირს ქმედებად და, შესაბამისად, ვერ ჩაითვლებოდა უხეშ დარღვევად“**.

- **საჯარო სამსახურში პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია და სამსახურიდან საკუთარი განცხადებით წასვლის იძულება**

პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციაზე მსჯელობისას, მოსამართლემ ყურადღება გაამახვილა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებებსა და კვლევებზე (ქ.თბილისის მერიიდან შესაძლო პოლიტიკური ნიშნით თანამშრომელთა გათავისუფლების პრაქტიკასა და მერიიდან თანამშრომელთა საკუთარი განცხადებით წასვლის მაღალ მაჩვენებელთან დაკავშირებით). ასევე, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთა და ქ.თბილისის მერიის მაღალჩინოსანთა განცხადებებზე. კერძოდ, მოსამართლემ გამოყო ქ. თბილისის მერის, დავით ნარმანიას საჯარო განცხადება, რომ „მათი (ანუ მერიის) რიგები ნაციონალური მოძრაობის წევრებისგან, შეიძლება ითქვას, რომ გაწმენდილია“. მოსარჩელის მიერ გაკეთებული ფარული ჩანაწერისა და ამ ინფორმაციის ერთობლივი ანალიზით, მოსამართლე გადაწყვეტილებაში უთითებს: **„სააპელაციო პალატას მყარად სწამს, რომ ი.კ.-ს მიმართ ნამდვილად განხორციელდა განსხვავებული მოპყრობა, ზეწოლა, რომლის მიზანიც იყო მისი გათავისუფლება სამსახურიდან, პირადი განცხადების საფუძველზე“**.

ამასთან, მოსამართლე განმარტავს, რომ მოსარჩელე უდავოდ სარგებლობს უფლებით, ჰქონდეს პოლიტიკური შეხედულება და სიმპათია ამა თუ იმ პოლიტიკური გუნდის მიმართ. ამგვარი უფლების არსებობის/რეალიზების შეზღუდვა გავლენას ახდენს მოსარჩელის პოლიტიკური შეხედულებისა თუ არჩევანის უფლებაზე, რომელიც დაცულია კონვენციითა და ეროვნული კანონმდებლობით.

ასევე, მოსამართლე დადასტურებულად მიიჩნევს, რომ **ქ. თბილისის მერიაში მსგავსი პრობლემები არ შეჰქმნიათ მათ, ვინც პოლიტიკური სიმპატიით არ იყო განწყობილი ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალის მიმართ**.

მოსამართლის განმარტებით, **„რომელიმე პოლიტიკური გუნდის, პარტიის კუთვნილებისა თუ მხარდაჭერის გამო სამსახურიდან წასვლის დაჟინებული, მკაცრი და მუქარის ტონის შემცველი ფორმით შეთავაზება ეწინააღმდეგება დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზანს და არ ემსახურება ქვეყნის კეთილდღეობის ინტერესებს“.**

დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, **მოსამართლემ, პირველი ინსტანციისგან განსხვავებით, მიიღო გადაწყვეტილება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტის ბათილობაზე და ქ.თბილისის მერიას არა ახალი აქტის გამოცემა, არამედ მოხელის სამსახურში აღდგენა დაავალა.**

ამავე საქმეში საყურადღებო და საინტერესოა მოსამართლის მსჯელობა საჯარო სამსახურში არსებულ მწვავე და საგანგაშო მდგომარეობაზე, გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის:

> „იკვეთება, რომ საქართველოს სახელმწიფოს საჯარო სამსახურის ფუნქციონირებაში უმწვავესი **პრობლემებია, რასაც განაპირობებს საჯარო სამსახურის არსისა და ამოცანების ნაკლებად გააზრებულობა,**

კანონის უზენაესობის სტანდარტის უგულებელყოფა, საჯარო სამსახურის პირადი და პარტიული ინტერესების მომსახურების ასპარეზად, პარტიული მუშაკებისა თუ აქტივისტების დასაქმების საშუალებად მიჩნევა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სრული უპატივცემულობა, თავად საჯარო მოხელეთა მხრიდან პერსონალური პასუხისმგებლობის გაუცნობიერებლობა, დაბალი პროფესიული კვალიფიკაცია, რაც, საბოლოო ჯამში, აფერხებს ქვეყნის სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. ყოველივე ეს კი იწვევს დასაქმებულთა (და არა მხოლოდ) უიმედობას, აქვეითებს მათ სამსახურებრივ მოტივაციას, აჩენს განცდას, რომ ქვეყანაში ყოველი პოლიტიკური ცვლილებისას საფრთხე ემუქრება მათ სამსახურს, რის გამოც მათი საქმიანობა მიემართება არა უპირატესად სამსახურეობრივ უფლებამოვალეობათა ეფექტურ განხორციელებას, არამედ ძირითადად იმას, რომ არ გაათავისუფლონ სამსახურიდან და ამგვარ ვითარებაში, თანამდებობრივ და ადამიანურ პრინციპულობაზე, მმართველობითი საქმიანობის კვალიფიციურ განხორციელებაზე, უმრავლეს შემთხვევებში, საუბარიც კი ზედმეტია“.

ამავე საქმეში მოსამართლემ რამდენიმე საინტერესო სამართლებრივი განმარტება გააკეთა:

- **ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ფუნქცია**

„ამგვარ პირობებში კი, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციული მართლმსაჯულების უმთავრეს ფუნქციას – განახორციელოს მმართველობითი საქმიანობის სასამართლო კონტროლი, ამ საქმიანობის განმახორციელებელთ დაუდგინოს საქმიანობის სწორი სამართლებრივი სტანდარტები, ამ კონტროლის ფარგლებში, ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედებები მოაქციოს კანონმდებლობის ჩარჩოებში და აიძულოს, თავისი შემდგომი საქმიანობა სწორედ ამ კუთხით წარმართოს. სააპელაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება“.

- **სახელმწიფოს როლი დისკრიმინაციის პრევენციისთვის**

მოსამართლის განმარტებით, **„სახელმწიფოებს ეკისრებათ ნეგატიური ვალდებულება, თანასწორად მოეპყრან თანაბარ მდგომარეობასა და პირობებში მყოფ პირებს და, შესაბამისად, დისკრიმინაციის პრევენციის ეფექტიანი ღონისძიებების გატარებაში მისი როლი, ვალდებულება და პასუხისმგებლობა განუზომლად დიდია“.**

- **დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს არსი**

მოსამართლე განმარტავს, რომ **„დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში, რომელსაც საქართველო აშენებს, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე პირის მიმართ განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი. რადგან არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, არ არსებობს პროპორციაც განსხვავებულ მოპყრობასა და არარსებულ მიზანს შორის. ზემოაღნიშნული ~~გარემოებებიდან გამომდინარე კი, შეუძლებელია მხოლოდ პოლიტიკური შეხედულების გამო განსხვავებული~~ მოპყრობის მოქცევა სახელმწიფოს მიხედულების/დისკრეციის ფარგლებში“.**

1.2. გახმაურებული საქმეები

- **ბიძინა ივანიშვილისა და ეკატერინა ხვედელიძისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საქმე**

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 11 ოქტომბრის ბრძანებულებით, საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდათ ბიძინა ივანიშვილსა და მის მეუღლეს, ეკატერინა ხვედელიძეს. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში გასაჩივრდა 2011 წლის დეკემბერში. ბიძინა ივანიშვილისა და ეკატერინა ხვედელიძის ადვოკატები საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 11 ოქტომბრის ბრძანებულების გაუქმებასა და მოსარჩელეთათვის მოქალაქეობის აღდგენას ითხოვდნენ. მოსამართლე შოთა გეწაძემ სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მან დაადგინა, რომ უკანონოა ბრძანებულების ის

ნაწილი, რომლითაც ეკატერინა ხვედელიძეს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა და მას მოქალაქეობა უნდა აღუდგეს. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევას, სასამართლომ ამ ნაწილში პრეზიდენტის ბრძანებულება ძალაში დატოვა.

აღნიშნულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გაავრცელა რეკომენდაცია პრეზიდენტისადმი, სადაც აღნიშნავდა, რომ ბრძანებულება არღვევდა მის კონსტიტუციურ უფლებებს, რადგან ეკატერინა ხვედელიძისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი არ არსებობდა.[3]

საქმის მიმდინარეობისას, ბიძინა ივანიშვილისა და ეკატერინა ხვედელიძის ადვოკატები (შალვა თადუმაძე, ეკა ბესელია, ალექსანდრე ბარამიძე, ზაქარია ქუცნაშვილი, არჩილ კბილაშვილი) გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას მოსამართლე შოთა გეწაძის ქცევის მიმართ. კერძოდ, მათ მიაჩნდათ, რომ მოსამართლემ მიკერძოებული გადაწყვეტილება მიიღო. ადვოკატთა განცხადებით, შოთა გეწაძე შინაგანი რწმენით კეთილგანწყობილი იყო პრეზიდენტის წარმომადგენლის მიმართ და მოსარჩელეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების საკითხის გადაწყვეტისას მხოლოდ ამ განწყობით იმოქმედა. **მოსარჩელეთა ადვოკატები ასევე უთითებდნენ, რომ მოსამართლე, შუამდგომლობებთან დაკავშირებით საკუთარი გადაწყვეტილების წაკითხვისას, სასამართლო დარბაზში ჩამწერ მოწყობილობას თიშავდა.**[4]

- **მიკაილ კადიევისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარი**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ, მოსამართლე შოთა გეწაძის მონაწილეობით, დაღესტნელ სამოქალაქო აქტივისტს, მიკაილ კადიევს უარი უთხრა ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე. ამ გადაწყვეტილებით, სასამართლომ შეცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საკითხის ხელახლა შესწავლა დაავალა.

მიკაილ კადიევის ადვოკატის, მალხაზ პატარაიას განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ (რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა) კადიევი რუსეთის ხელისუფლებისთვის გადასაცემად გაწირა, რადგან რუსეთის ხელისუფლება მის ექსტრადიციას ითხოვდა, რაც ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურით იყო შეჩერებული. ადვოკატს მიაჩნდა, რომ რუსეთში კადიევის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.[5]

1.3. უზენაესი/ საკონსტიტუციო და საერთაშორისო/რეგიონული სასამართლოების პრაქტიკის გამოყენება

- **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების არასწორი გამოყენება და ციტირება**

სამართლებრივი საკითხი: მოსამართლე შოთა გეწაძე, **შრომის თავისუფლებაზე** საუბრისას, იშველიებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2/389 გადაწყვეტილებას საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“.

---

3 http://www.tabula.ge/ge/story/57430-saxalxo-damcveli-xvedelidzistvis-moqalaqeobis-chamortmeva-ukanono-oko

4 https://netgazeti.ge/law/11897/

5 https://www.radioway.ge/news/human-rights/item/581-saapelazio-sasamartlom-mikail-kadievs-ltolvilis-statusis-minichebaze-uari-utxra

კერძოდ, მოსამართლე მიუთითებს, რომ **„შრომის თავისუფლება არ უნდა გავაიგივოთ შრომითი უფლებების ცნებასთან. ის შრომითი უფლებების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და გულისხმობს, რომ ადამიანის იძულებითი შრომა დაუშვებელია. კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტი აღიარებს არა შრომის უფლებას, არამედ თავისუფალი შრომის უფლებას, რაც გულისხმობს: შრომითი საქმიანობის სფეროს თავისუფალ არჩევას; შრომითი საქმიანობის არჩეულ სფეროში იძულების გარეშე ჩაბმას; შრომითი საქმიანობის პროცესში საკუთარი რესურსების იძულების გარეშე განკარგვას. შრომის თავისუფლების პრინციპის უზრუნველყოფით, სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, არ მოახდინოს ადამიანის იძულებითი დასაქმება დასაქმებულის ნების საწინააღმდეგოდ (ნეგატიური ვალდებულება) და უზრუნველყოს, რომ კერძო სუბიექტებმა არ მოახდინონ ადამიანის იძულებითი დასაქმება დასაქმებულის ნების საწინააღმდეგოდ (პოზიტიური ვალდებულება)“.**[6]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსამართლე შოთა გეწაძის მოშველიებული ციტატა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან, გვხვდება აღწერილობითი ნაწილში. ეს გახლავთ მოპასუხე მხარის დაფიქსირებული პოზიცია კონსტიტუციურ სარჩელზე და არა სასამართლოს განმარტება კონსტიტუციით დაცულ უფლებასთან მიმართებით.

სამართლებრივი საკითხი: უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნითა და უკანონო თავისუფლების აღკვეთით სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მსგავს დავებში მსხვერპლისთვის საადვოკატო ხარჯების ანაზღაურების სტანდარტი.

- **საადვოკატო მომსახურების ხარჯთან დაკავშირებით**, მოსამართლე ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე, რომელიც დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს. კერძოდ, ხელმყოფ პირს მაშინაც აკისრებს ადვოკატის მიერ გაწეული შრომის ანაზღაურებას, როდესაც სამართალწარმოებაში მონაწილე პირს არ გადაუხდია ადვოკატის მომსახურებისთვის გათვალისწინებული თანხა ან წარმომადგენლობა განახორციელა არასამთავრობო ორგანიზაციამ, ქველმოქმედების სახით. საქმეში „ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ“ (Fadeyeva v. Russia) სასამართლო აღნიშნავს, რომ „განმცხადებელს არ წარმოუდგენია მასსა და მის ადვოკატს შორის დადებული რაიმე წერილობითი ხელშეკრულება. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი ხელშეკრულება არ არსებობს. ხელშეკრულება იურიდიული, საკონსულტაციო-საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ შეიძლება დაიდოს ზეპირი ფორმითაც და არაფერი აჩვენებს, რომ ეს ასე არ იყო განმცხადებლისა და მისი წარმომადგენლების შემთხვევაში. შესაბამისად, ადვოკატის ჰონორარები ანაზღაურებადია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით და რეალურია. ამ დასკვნაზე გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, რომ განმცხადებელს არ ეკისრებოდა ამ თანხების წინასწარ გადახდის ვალდებულება“.[7]

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოსამართლე შოთა გეწაძე, ძირითადად, მართებულად იყენებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს[8], საქართველოს უზენაესი სასამართლოს[9] და ადამიანის უფლებათა ევროპუ-

---

[6] **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება (N3ბ/1907-15). გვ.32**

[7] **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება (N3ბ/2396-17). გვ. 20**

[8] **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება (N3ბ/1907-15). გვ.33; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება (N3ბ/1907-15). გვ.35; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება (N3ბ/1907-15). გვ.35.**

[9] **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება (N3ბ/1907-15). გვ. 43; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება (N3ბ/1944-15). გვ. 30; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება (N3ბ/2396-17). გვ. 20.**

ლი სასამართლოს პრაქტიკას.[10] ასევე, გადაწყვეტილებათა დასაბუთებისას, მოსამართლე აქტიურად იყენებს საერთაშორისო დოკუმენტებს (მაგალითად, გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია; გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; ევროპის სოციალური ქარტია;[11] შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 158-ე კონვენცია[12] და სხვ.)

1.4. ზოგადი სტატისტიკა

- **შოთა გეწაძის ურთიერთსაპირისპირო/ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილებები იდენტური გარემოებების საქმეებზე**

ფაქტები:

1. 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 26 ნოემბრის ბრძანებას „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“. მოსარჩელე დავობდა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს არ შეეძლო, მიეღო გადაწყვეტილება სასაზღვრო პოლიციაში დასაქმებული პირის გათავისუფლების შესახებ, რადგან ამის უფლებამოსილება მხოლოდ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსს აქვს.
2. 2018 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება (N3ბ/2679-18) გამოტანილია ანალოგიურ დავაზე. ამ საქმეშიც სადავო იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილება „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“.

მოსამართლის მიერ საქმეთა არათანმიმდევრული გადაწყვეტა

1. მოსამართლემ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ იგი ვერ გაიზიარებს მოსარჩელის განმარტებას. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 3 დეკემბრის N1014 ბრძანებით დამტკიცებული წესის 34.4 მუხლის თანახმად, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლის დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასაზღვრო პოლიციის უფროსი ან სხვა უფლებამოსილი პირი. მოსამართლე განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლის ჩანაწერში „სხვა უფლებამოსილ პირში“ იგულისხმება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.[13] გადაწყვეტილებაში ასევე მითითებულია, რომ „იმ პირობებში, როდესაც საქართველოს სასაზღვრო პოლიცია ფუნქციონირებს პოლიციის სამსახურებში და, ზოგადად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, როგორც ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება მის დაქვემდებარებაში არსებული პირების დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“.[14]

---

[10] **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება (N3ბ/1907-15). გვ.37; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება (N3ბ/1907-15). გვ. 39.**

[11] **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება (N3ბ/1907-15). გვ. 31.**

[12] **იქვე.**

[13] **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება (N3ბ/548-18). გვ. 9**

[14] **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება (N3ბ/548-18). გვ.10**

აღნიშნულ მსჯელობაზე დაყრდნობით, მოსამართლემ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი უფლებამოსილი იყო, თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი.

2. თუმცა, მეორე საქმეზე მოსამართლე საპირისპირო მსჯელობას ავითარებს. კერძოდ, იგი უთითებს, რომ „შინაგან საქმეთა მინისტრი უფლებამოსილია, თანამდებობაზე დანიშნოს და გაათავისუფლოს თანამშრომლები, თუმცა, ეს არ შეიძლება გაგებული იქნას იმგვარად, რომ ეს უფლებამოსილება ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ყველა თანამშრომელზე“.[15] მოსამართლე აღნიშნავს, რომ მართალია, საქართველოს სასაზღვრო პოლიცია შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფია, თუმცა, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში – დასაქმებულ პირთა დანიშვნა-გათავისუფლება დეტალურად არის გაწერილი კანონმდებლობით და აღნიშნული უფლებამოსილება მინიჭებული აქვს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსს.[16]

აღნიშნულზე დაყრდნობით, მოსამართლემ მიიჩნია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი <u>არ იყო</u> უფლებამოსილი, თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი. შესაბამისად, სადავოდ გამხდარი აქტი არარად ცნო.

- **შოთა გეწაძის არათანმიმდევრული გადაწყვეტილებები სასამართლო კონტროლის ფარგლებზე მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში.**

მოსამართლე არათანმიმდევრულია თავის გადაწყვეტილებებში მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების შეფასებისას.

  - 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებაში (N3ბ/1907-15) მოსამართლე უთითებს, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მიღებული ბრძანება დასაბუთების მაღალ სტანდარტს უნდა პასუხობდეს. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ამტკიცოს, თუ რატომ მიიღო გადაწყვეტილება პირის გათავისუფლების შესახებ და არ გამოიყენა მოხელის მიმართ სხვა სახის დისციპლინური სახდელი.
  - 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებაში (N3ბ/1655-15) კი მოსამართლე უთითებს, რომ მოხელის სამსახურიდან დათხოვნისას უნდა შეფასდეს მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანების კანონიერება. მოსამართლე ვერ შეაფასებს ბრძანების მიზანშეწონილობას [მაგ. რატომ მიიღო ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება პირის გათავისუფლების შესახებ და არ გამოიყენა სხვა სახის დისციპლინური სახდელი მის მიმართ], რადგან ეს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციაში შეჭრად ჩაითვლება.

- **შაბლონური გადაწყვეტილებები და მოსამართლის შაბლონური მსჯელობა**

მოსამართლე შოთა გეწაძე სისტემატურად, ერთგვაროვნად და შაბლონურად იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს Hirvisaari v. Finland, §32 და Gorou v. Greece (N.3) §§ 38-42 იმ არგუმენტის გასამყარებლად, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება არ მოითხოვს მხარეების

---

[15] **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება (N3ბ/2679-18). გვ.10**

[16] **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება (N3ბ/2679-18). გვ.11**

მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას. ანალოგიურ მსჯელობას ვხვდებით მის არაერთ გადაწყვეტილებაში.[17]

- მოსამართლე 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებაში (N3ბ/1944-15) შაბლონურად უთითებს, რომ იზიარებს შრომით დავებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებულ პრაქტიკას (საქმე ბს-463-451(კ-13) 18 თებერვალი, 2014 წელი), თუმცა, არ უთითებს, კონკრეტულად რა მსჯელობას იზიარებს იგი.
- ამავე გადაწყვეტილებაში მოსამართლე ასევე შაბლონურად უთითებს, რომ იზიარებს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკას დისკრიმინაციის შეფასების საკითხის გადასაწყვეტად, თუმცა, არ უთითებს, კონკრეტულად სასამართლოს რომელ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) განვითარებულ მსჯელობას ეყრდნობა.

2. აკადემიური საქმიანობა-პუბლიკაციები

1.1. თანასწორობის-ადამიანის უფლებების საკითხებთან დაკავშირებული ხედვა

კანდიდატი შოთა გეწაძე გამოქვეყნებულ სტატიაში „ემბრიონის/ფეტუსის სიცოცხლის უფლება და დისკრიმინაციული აბორტი“ გამოთქვამს რამდენიმე საინტერესო მოსაზრებას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით:

- **კანდიდატის უარყოფითი დამოკიდებულება სელექციური აბორტის მიმართ**
  „საკითხის შესწავლისას იკვეთება დისკრიმინაციის (სქესის ნიშნით) აკრძალვის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი პრინციპის დარღვევის პრაქტიკა, რაც გამოწვეულია ე.წ. სელექციური აბორტებით. სელექციური აბორტი სხვადასხვა სახისაა. მაგალითად, სელექციური ნიშნავს ორი ან მეტი ნაყოფის არსებობისას ერთ-ერთის მოცილებას, თუმცა, სელექციური აბორტის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ნაყოფის მოცილება სქესის ნიშნით, ანუ მსოფლიოში და, სამწუხაროდ, საქართველოშიც, ნაყოფის სიცოცხლის მოსპობა ხდება მხოლოდ იმის გამო, რომ იგი მდედრობითი სქესისაა“.[18]

- **საქართველოს პატრიარქის ეპისტოლე და აბორტის პრობლემურობა**
  „აბორტის თემა ყოველთვის აქტუალური იყო საქართველოში, თუმცა, მასზე მსჯელობა განსაკუთრებით აქტუალურ ფაზაში შევიდა კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის 2013 წლის სააღდგომო ეპისტოლეს შემდეგ, სადაც აბორტის თემას ვრცელი ადგილი დაეთმო. პატრიარქმა პირველად მოუწოდა მთავრობას, აბორტი (გამონაკლისების გათვალისწინებით) კანონით აეკრძალათ.

---

[17] **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის 2019 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება (3ბ/3308-18). გვ. 10; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის 2019 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება (3ბ/1688-18). გვ. 14; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის 2019 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება (3ბ/318-19). გვ. 18; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის 2019 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება (3ბ/1407-18). გვ. 9; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის 2019 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება (3ბ/438-19). გვ. 12; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის 2019 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება (3ბ/2122-18). გვ. 10.**

[18] **შოთა გეწაძე, „ემბრიონის/ფეტუსის სიცოცხლის უფლება და დისკრიმინაციული აბორტი“, ადამიანის უფლებების სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, თბილისი, 2015, გვ.48**

აბორტი, სელექციური თუ ზოგადად, პირველ რიგში მენტალური და ეთიკური პრობლემაა და ამიტომ მასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება საზოგადოების განათლება და სათანადო განწყობის ფორმირებაა. მართალია, ეს საკმაოდ გრძელვადიანი პერსპექტივაა, მაგრამ საკითხის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტიან საშუალებად რჩება“.[19]

- **კანდიდატის შეშფოთება აბორტების მზარდი დინამიკით საქართველოში და აბორტის გამართლების რამდენიმე მისეული გამონაკლისი**
  „სამწუხაროა, რომ ისეთ მცირერიცხოვან ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, აბორტების რიცხვი შემაშფოთებლად მაღალია. მართალია, არსებობს გარკვეული გარემოებები, როცა აბორტი შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს, მაგალითად, **თუ ორსულობის გაგრძელება დედის ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის ან ნაყოფს მნიშვნელოვანი დეფექტები აღმოაჩნდა**, თუმცა, კონტრაცეფციის უამრავი მეთოდის არსებობისას, ზრდასრულ ადამიანს შეუძლია, განსაჯოს საკუთარი ქმედებები და, საჭიროებისამებრ, დაიცვას თავი, თუკი ბავშვის გაჩენა არ სურს“.[20]

- **კანდიდატი მომხრეა, აიკრძალოს აბორტი (გამონაკლისების გათვალისწინებით)**
  „მსოფლიოში თითქმის ყველგან და, ამდენად, საქართველოშიც არსებობდა, არსებობს და, ალბათ, მომავალშიც იარსებებს აბორტი. იმის მტკიცება, რომ აბორტი მთლიანად უნდა აიკრძალოს, გულუბრყვილობაა. ამასთანავე, გონივრულ ფარგლებში, შესაბამისი გამონაკლისების არსებობის პირობებში, **საქართველოში აბორტი უნდა აიკრძალოს**. მრავალი ქვეყნის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სრულმა აკრძალვამ უკუშედეგი გამოიღო; აბორტი გავიდა სახელმწიფო რეგულირების სფეროდან და იატაკქვეშეთში გადაინაცვლა“.[21]

---

19 იქვე, გვ. 60
21 იქვე, გვ. 61
22 იქვე, გვ. 60

2. პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- კანდიდატის მიმართ სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური სახდელი ან ზემოქმედების ღონისძიება არ გამოყენებულა.

2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- ეთიკის ნორმების დარღვევა არ ფიქსირდება. თუმცა, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ მომზადებულ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის N6 ანგარიშში მითითებულია: „სამწუხაროდ, საბჭოს წევრები არაეთიკურ

დამოკიდებულებას ავლენდნენ სხდომებზე მოწვეული და დამსწრე პირების მიმართაც. 11 აპრილის სხდომაზე საბჭოს მოსამართლე წევრმა შოთა გეწაძემ ერთ-ერთი დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელს ცალსახად არაეთიკურად მიმართა და გაჩუმება მოსთხოვა".[1]

3. საქმიანობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

მოსამართლე შოთა გეწაძის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობისას:

- დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი. გათავისუფლების მიზეზი გახდა ახვლედიანის განცხადებები სასამართლო სისტემაში არსებულ სისტემურ პრობლემებზე.[2]
- სავარაუდოდ, საბჭოდან მოსამართლეთა საგამოცდო ტესტები გამჟღავნდა.[3] აღნიშნულთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭო შიდა მოკვლევას აწარმოებდა, თუმცა მოკვლევის შედეგები უცნობია.
- ცნობილი გახდა, რომ მოსამართლე ნათია გუჯაბიძე საცხოვრებელ ბინას საკუთარი დედისგან ქირაობდა და ეს ხარჯი, წლების განმავლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან იფარებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განაცხადა, რომ ინფორმაცია მოსამართლე ნათია გუჯაბიძის მიერ სახელმწიფო თანხების გაფლანგვის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამებოდა.[4] „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" კი მიიჩნევდა, რომ მოცემულ საკითხზე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დისციპლინური სამართალწარმოება უნდა დაეწყო, ხოლო პროკურატურას – გამოძიება.[5] საზოგადოებისთვის უცნობია, მოჰყვა თუ არა ამ ფაქტს სამართლებრივი რეაგირება.
- აქტიურად გამოიყენებოდა მოსამართლეთა უკონკურსოდ გადაყვანის და დაწინაურების მექანიზმი. სწორედ ამ პერიოდში, 7 მოსამართლე უკონკურსოდ დაწინაურდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელთა შორის იყო **თავად მოსამართლე შოთა გეწაძე**.[6]
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა შედარებით გამჭვირვალე გახდა. კერძოდ: საბჭომ სხდომების პირდაპირი ტრანსლირება დაიწყო საერთო სასამართლოების სისტემაში მოქმედი სპეციალური დახურული ქსელის (ინტრანეტის) საშუალებით; საბჭოს სხდომების დღის წესრიგი ქვეყნდებოდა წინასწარ, განსხვავებით ძველი პრაქტიკისა, როდესაც დღის წესრიგი გვიან ან საერთოდ არ თავსდებოდა ვებგვერდზე. ასევე, პოზიტიური ტენდენცია დაფიქსირდა გადაწყვეტილებების დროულად გამოქვეყნების თვალსაზრისითაც; საბჭოს ვებგვერდს დაემატა საჯარო ინფორმაციის კუთხე, სადაც პროაქტიულად ქვეყნდება საჯარო ინფორმაცია.

---

1 **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში N6, 2018 წლის 28 ივნისი. გვ.16 https://bit.ly/2IDhLCV**

2 **მოვლენების ქრონოლოგია მამუკა ახვლედიანის პირველი განცხადებიდან მის გათავისუფლებამდე, იხ. http://bit.ly/2ST69iw**

3 **საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ანგარიში „სასამართლო სისტემის მდგომარეობა 2012-2016", გვ. 16, იხ. https://bit.ly/2JYEcD7**

4 **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება, იხ. http://bit.ly/2ZjPib7**

5 **საია მოსამართლე ნათია გუჯაბიძის თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას ეხმიანება, იხ. http://bit.ly/2YjwfRN**

6 **ცნობილია დაწინაურებულ მოსამართლეთა ვინაობა, იხ. https://bit.ly/314i6oo**

3. დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები

1. კარიერული განვითარება

- კანდიდატი შოთა გეწაძე სასამართლო სისტემაში 2003 წლიდან მუშაობს. კერძოდ, 2003-2006 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომის მდივანი და თანაშემწე, 2006-2007 წლებში – მცხეთის რაიონული სასამართლოს აპარატის უფროსი, ხოლო 2007-2009 წლებში – საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსი (ადმინისტრაციული პალატის თავმჯდომარე მიხეილ ჩინჩალაძე).
- 2009-2010 წლებში მან გაიარა იუსტიციის უმაღლესი სკოლის სამოსამართლო კურსი. 2011 წლის 21 თებერვლიდან დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ და ამავე კოლეგიის თავმჯდომარედ. მოსამართლედ განწესებიდან 5 თვის შემდეგ, 2011 წლის 30 ივლისს, შოთა გეწაძე მოსამართლეთა კონფერენციამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად აირჩია, სადაც საკუთარ უფლებამოსილებას 2017 წლამდე ახორციელებდა.
- 2015 წელს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, 7 მოსამართლე თბილისის სააპელაციო სასამართლოში უკონკურსოდ დაწინაურდა. დაწინაურებულ მოსამართლეთა შორის იყო მოსამართლე შოთა გეწაძე, რომელიც, ამავდროულად, საბჭოს წევრიც იყო.
- ამჟამად, შოთა გეწაძე არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის უვადო მოსამართლე.
- 2017 წელს შოთა გეწაძემ მონაწილეობა მიიღო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატების წარსადგენ კონკურსში. შიდა კონკურსში მიღებული ქულებით, იგი საუკეთესო შედეგის მქონე 3 კანდიდატს შორის მოხვდა,[1] თუმცა, ევროპის საბჭომ მისი კანდიდატურა დაიწუნა.[2]

2. მიღებული ჯილდო/სტიპენდია

- კანდიდატს არ აქვს მიღებული ჯილდო/სტიპენდია.

---

1 **სტრასბურგის მოსამართლეობის მსურველი ხუთეული – სამინისტრო ქულებს აქვეყნებს, იხ. https://bit.ly/2LOXiOe**

2 **ევროსასამართლოში საქართველოდან წარდგენილი სამი კანდიდატიდან ორი კვლავ დაიწუნეს, იხ. http://bit.ly/3305v7s**

4. კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები / ჯარიმები, სასამართლო დავები

- კანდიდატი ნასამართლევი არ ყოფილა.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ფიქსირდება საგზაო მოძრობის წესების დარღვევის გამო. 2008-2011 წლებში იგი ადმინისტრაციული წესით 3-ჯერ დაჯარიმდა.
- სასამართლო დავებში მოსამართლე შოთა გეწაძე მხარედ არ მონაწილეობდა.

2. პარტიული კუთვნილება, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი პოლიტიკოსებთან / გავლენიან ადამიანებთან

- შოთა გეწაძე რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი არ ყოფილა.
- შოთა გეწაძე 2 წელი მუშაობდა უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსად იმ პერიოდში, როდესაც ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარის პოზიცია **მიხეილ ჩინჩალაძეს ეკავა**.
- შოთა გეწაძის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის პერიოდში, საბჭომ მხარი დაუჭირა ლევან მურუსიძის (3-წლიანი ვადით) და მიხეილ ჩინჩალაძის (უვადოდ) მოსამართლეებად გამწესებას თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში. ასევე, მიხეილ ჩინჩალაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნას, რომლის კანდიდატურაც საბჭოს სხდომაზე სწორედ მოსამართლე შოთა გეწაძემ დაასახელა.[1]
- კანდიდატი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი იყო იმ დროს, როდესაც საბჭოს წევრები იყვნენ (სხვადასხვა დროს) კონსტანტინე კუბლაშვილი, ვალერი ცერცვაძე, მიხეილ ჩინჩალაძე, ზაზა მეიშვილი, ლევან მურუსიძე, მერაბ გაბინაშვილი, თამარ ალანია, ილონა თოდუა, პაატა სილაგაძე, ლევან თევზაძე – პირები, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციის შეფასებით, მიიჩნევიან სასამართლოში არსებული გავლენიანი ჯგუფის (კლანის) წევრებად.

---

[1] **სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ ჩინჩალაძის კანდიდატურა წარადგინეს,** იხ. http://bit.ly/2yG0PWG

5. კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა

1. სოციალურ ქსელში დაფიქსირებული მოსაზრებები

შოთა გეწაძის პერსონალური ანგარიში სოციალურ ქსელ Facebook-ში 2010 წლიდან არის რეგისტრირებული. მის პერსონალურ გვერდზე არ ფიქსირდება თანასწორობის / ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო შინაარსის პოსტები ან/და ღია აქტივობები, რომლებიც შეიძლება კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას უჭერდეს მხარს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 14 აგვისტოს კანდიდატმა მოიწონა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის სერგო მეთოფიშვილის კრიტიკული კომენტარი[1] Facebook გვერდ **„ლოთების“** გაზიარებულ ვიდეოზე, (რომელიც კანდიდატმა საკუთარ კედელზე გააზიარა) საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის მისამართით.

სოციალურ ქსელში კანდიდატის აქტივობებში ასევე ჩანს, რომ იგი ხშირად იწონებს მისი ზოგიერთი კოლეგის გამოთქმულ მოსაზრებებს არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ. მაგალითად, 2018 წლის 18 იანვარს კანდიდატმა მოიწონა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის სერგო მეთოფიშვილის პოსტი[2] არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ. კერძოდ, სერგო მეთოფიშვილი პოსტში აღნიშნავდა: **„იმ პოლიტიკოსებისა და ზოგიერთი პოლიტიზირებული NGO-ს გასაგონად, ვინც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მაბრალებს, რომ თითქოს მე, როგორც მოსამართლე, ღიად ვერევი პოლიტიკურ პროცესში და პოლიტიკურ განცხადებებს ვაკეთებ (რაც არის სიცრუე!!!), კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, რომ მე, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ვალდებული ვარ დროული და ეფექტური რეაგირება მოვახდინო სასამართლოს (მოსამართლეების) შეურაცხყოფასა და თავდასხმის ფაქტებზე, რასაც ვაკეთებ კიდეც. მათ შორის, ამჟამადაც ამას ვაკეთებ.“ მან დამატებით აღნიშნა, რომ „რასაც ბოლო დღეებში პოლიტიზირებული ეკა გიგაური, სულხან სალაძესთან, ასევე, რამდენიმე სხვა პოლიტიზირებულ NGO-სთან და ბესელიასნაირ პოლიტიკოსებთან ერთად გვთავაზობენ, ამას შეიძლება ეწოდოს – თავხედი და ზღვარსგადასული თვითნებობა!...საზოგადოებამ ადრე იხლა ქალბატონ გიგაურის „ფეიკ ნიუსები“, „ფეიკ ანგარიშები“, „ფეიკ ფარსები“ სასამართლო სისტემის მიმართ, ახლა კი ქალბატონი გიგაური თავის „ფეიკ ფანტაზიებს“ ავრცელებს...“**

პოსტის მოწონებასთან ერთად, მოსამართლე შოთა გეწაძემ შემდეგი კომენტარი დატოვა: **„სამართლებრივად ძალიან მარტივია: კონსტიტუციური ფუნქციებიდან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს გამოხატვის უფრო მეტი თავისუფლება აქვს, ვიდრე მოსამართლეს. უფრო მეტიც, ამ ფუნქციებიდან გამომდინარე, მას გამოხატვის ვალდებულებაც აქვს. ამ შემთხვევებში ბატონი სერგო მოქმედებს, როგორც საბჭოს წევრი! სულ მცირე, არაკომპეტენტურობაა, როდესაც სასამართლოს აკრიტიკებ (უფრო ლანძღავ) და შემდეგ პასუხის მოსმენაც არ გინდა და თუ ვინმემ გიპასუხა, გსურს მისი შეზღუდვა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებით“.**[3]

---

1 პოსტი და კომენტარი ხელმისაწვდომია – https://drive.google.com/file/d/1

2 პოსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია – https://drive.google.com/file/d/

3 კომენტარი ხელმისაწვდომია – https://drive.google.com/file/d/

სერგო მეთოფიშვილის აღნიშნულ პოსტს გამოეხმაურა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კიდევ ერთი მოსამართლე წევრი დიმიტრი გვრიტიშვილი. მოსამართლე შოთა გეწაძემ მისი კომენტარიც[4] მოიწონა. კერძოდ, დიმიტრი გვრიტიშვილი კომენტარში აღნიშნავდა: **„კაპიტანი გიგაური 2010 წლიდან არის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი. ეტყობა, მართლა ნიჭიერია, ამას მოხერხება არ უნდა – საჯარო სამსახურში ჩინიც მიიღო და NGO-შიც მთელი „ეპოქა“ შექმნა? ეტყობა, მისებრ ნიჭიერი ვერავინ მოიძებნა, ამდენ ხანს რომ ვერ ჩაანაცვლეს! არადა, ისიც და მისი რუპორები – ჯანეზაშვილ-დოლიძის ტანდემიც – ჩვენ გვიკიჟინებდნენ: რა ამბავია, სასამართლოს თავმჯდომარეები 5 წლით რომ ინიშნებიან, დავნიშნოთ 2-3 წლითო! აი, ორმაგი სტანდარტის კიდევ ერთი მაგალითი! იგივე ითქმის გიორგი მშვენიერაძეზე: რაც თავი მახსოვს, ეს კაცი სულ ტოპ-მენეჯმენტშია, ეტყობა ესეც ნიჭიერია! ერთი საია ქმნის ცვლილებების ილუზიას, მაგრამ იქაც პრინციპი ერთია: ტოპ-მენეჯმენტი რესპუბლიკური პარტიის წიაღში დაფრთიანებული ხალხი ან მათი მეგობრები არიან! ეს ხალხი გველაპარაკება ჩვენ კლანურ მმართველობაზე?!“**

კანდიდატმა მოიწონა დიმიტრი გვრიტიშვილის ის პოსტიც[5], სადაც ეს უკანასკნელი საუბრობდა მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ პრობლემებზე, რაც საქმეთა ელექტრონულად, შემთხვევითი წესით განაწილების პრინციპის შემოღებას ეხებოდა. გვრიტიშვილის განმარტებით, **„საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად იქცა, რომ საქართველოს სასამართლოებში საქმეთა სიმრავლის პრობლემაა, რაც განსაკუთრებული ფორმით არსებობს სწორედ საქართველოს უზენაეს სასამართლოში“. მან ასევე აღნიშნა, რომ „პრაქტიკულად კოლაფსია სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში: აქ საქმეები ნაწილდება ერთ მოსამართლეზე, რითაც უგულებელყოფილია საქმეთა შემთხვევითი განაწილების პრინციპი“**.

პოსტში ასევე აღნიშნულია, რომ **„უმძიმესი ვითარებაა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაშიც: 9 მოსამართლის ნაცვლად, უფლებამოსილებას ახორციელებს 3 მოსამართლე და თითოეულს აქვს 300-500 საქმე!“**. იმავე პრობლემაზე საუბრობდა გვრიტიშვილი სამოქალაქო საქმეთა პალატასთან მიმართებით. მისი თქმით, სწორედ ამ ვითარების გამოსწორების პასუხისმგებლობა დაეკისრა 2018 წლის 16 დეკემბრიდან იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. როგორც გვრიტიშვილმა აღნიშნა, გარდაუვალ აუცილებლობად ჩათვალეს, ემოქმედათ ოპერატიულად და ამ ვითარების პასუხად 2018 წლის 26 დეკემბერს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის ე.წ. 10 კაციანი სია წარუდგინეს პარლამენტს.

პოსტში ასევე განხილულია შერჩეული კანდიდატების საკითხიც. კერძოდ, მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილის თქმით, **„მსოფლიოს ყველა თანამედროვე ქვეყნის პრაქტიკაა, რომ უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა გამწესება მოხდეს კარიერული დაწინაურების პრინციპით: კანდიდატს უნდა ჰქონდეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში საქმიანობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება! მისი განმარტებით, მათ სწორედ აღნიშნული პრინციპი დაიცვეს“**. პოსტში დამატებით აღნიშნულია: **„ჩვენ კანონი არ გვავალდებულებდა ვინმესთან წინასწარი კონსულტაციების გამართვას! საინტერესოა, არასამთავრობო სექტორს რატომ არ უჩნდებოდა კითხვა ყოფილი პრეზიდენტის მიერ უზენაესი სასამართლოს კანდიდატურების შერჩევასთან დაკავშირებით, როდესაც მოულოდნელად ეწყობოდა ბრიფინგები და საზოგადოებას და პარლამენტს წარედგინებოდა კანდიდატები, რომელთაც სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილება შეიძლება არც ჰქონდათ!“**.

პოსტში ასევე გამოთქმულია მოსაზრება ანა დოლიძის უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატად წარდგენასთან დაკავშირებით: **„თუ ერთ არაიურისტ ადამიანს შეეძლო „ღირსეული“ კანდიდატების შერჩევა, რატომ არ შეგვიძლია ეს ჩვენ, საბჭოს წევრებს, კოლეგიურ ორგანოს, რომელიც შედგება მოქმედი მოსამართლეებისა და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე პრაქტიკოსი იურისტებისაგან?“**.

---

[4] კომენტარი ხელმისაწვდომია – https://drive.google.com/file/d/1K

[5] პოსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია – https://drive.google.com/file/d/1THFYY

პოსტის ბოლოსკენ კი მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილი ამბობს: **„ისიც ხომ ცნობილია, რომ საკონსტიტუციო რეფორმა ვენეციის კომისიამ მოიწონა! რატომ ცდილობენ არასამთავრობო სექტორი და მათი რუპორი საბჭოს წევრები – შექმნან რაღაც გაურკვეველი საკონსულტაციო საბჭო ასევე გაურკვეველი „ექსპერტებით“, რომელთა დასკვნებიც საბჭოსთვის ავტორიტეტული და გასათვალისწინებელი უნდა გახდეს?!“**

შოთა გეწაძემ ასევე მოიწონა სერგო მეთოფიშვილის პოსტი[6], სადაც ეკა ბესელიას შესახებ არის საუბარი. კერძოდ, პოსტში აღნიშნულია: „საოცრება!!! ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ: **„სასამართლოსთან დაკავშირებული დაპირისპირება მხოლოდ მოსამართლეთა სიას არ უკავშირდება – პროცესი წელიწადნახევრის წინ დაიწყო, როდესაც სასამართლო სისტემის რეფორმის მეოთხე ტალღის ფორმატი შეიქმნა“. მაშ, სად იყო აქამდე ბესელია???“**.

სერგო მეთოფიშვილი დამატებით აღნიშნავს, რომ **„არცერთხელ ბესელიას არ დაუფიქსირებია ის პოზიცია, რასაც დღეს ამჟღავნებს!!! პირიქით, იყო ძალიან კონსტრუქციული და განსაკუთრებული ყურადღებით თამამშრომლობდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებთან, მათ შორის ჩემთანაც!!! მაშ, რა გამოდის? მთელი ამ ხნის განმავლობაში ბესელია სინამდვილეში შემოგზავნილი „პარტიზანი“ იყო და უბრალოდ კონსტრუქციული წევრის როლს თამაშობდა? რაში დასჭირდა ასეთი მსახიობობა? მეგობრებო, პასუხი თქვენთვის მომინდია!!! მე ამასთან დაკავშირებით შეგახსენებთ მხოლოდ, ვინ არის ფარისეველი? ფარისეველი – სახარებაში ასეთი ადამიანები თვალთმაქცებად იწოდებიან, ანუ ცრუ და მატყუარა ადამიანები არიან!!!“**.

2. საჯარო განცხადებები სასამართლო სისტემაში არსებულ ვითარებაზე

1.1 საჯარო განცხადებები 2015 წელს ლევან მურუსიძის მოსამართლედ დანიშვნასთან დაკავშირებით

მოსამართლე შოთა გეწაძე, 2011-2017 წლებში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი იყო. 2015 წლის 25 დეკემბერს, მან მხარი დაუჭირა ლევან მურუსიძის სამწლიანი გამოსაცდელი ვადით მოსამართლედ დანიშვნას სააპელაციო სასამართლოში.

ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში კანდიდატმა ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განაცხადა:

> **ბატონი ლევან მურუსიძე, მე ვიტყოდი, იყო ყველაზე ღირსეული იმ კანდიდატთა შორის, რომლებიც მონაწილეობდნენ კონკურსში, სადაც აირჩა 38 მოსამართლე. მე ლევან მურუსიძეს ხმა მივეცი, რადგან ის, როგორც პროფესიონალი, იმსახურებდა ჩემს ერთ ხმას“.**[7]

სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე კანდიდატმა აღნიშნა:

> **ლევან მურუსიძეს დიდი ხანია ვიცნობ. იგი 10 წლის განმავლობაში უზენაესი სასამართლოს მოსამართლე იყო, მას ძალიან დიდი გამოცდილება აქვს. რაც შეეხება გირგვლიანის საქმეს, იყო აჟიოტაჟი ატეხილი, მაგრამ ბატონმა ლევანმა არაერთხელ დაადასტურა, რომ მას სამართლებრივად სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო ერთადერთი კანონიერი გადაწყვეტილება“.**[8]

[6] პოსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია – https://drive.google.com/file/d/1Gmjdlr

[7] დებატები „მაესტროზე“ შოთა გეწაძესა და ზაზა ხატიაშვილს შორის. ტელეკომპანია „მაესტრო“. 2015 წლის 27 დეკემბერი. https://www.youtube.com/watch

[8] „რისი მსხვერპლი იყო ლევან მურუსიძე?!“ ტელეკომპანია „იბერია“, 2016 წლის 25 აპრილი. https://www.youtube.com/watch

მისივე განცხადებით, ლევან მურუსიძის მოსამართლედ დანიშვნის გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების გარკვეული ჯგუფები ცდილობდნენ, გავლენა მოეხდინათ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაზე. ამ მხრივ, მან ყურადღება გაამახვილა საქართველოს პრეზიდენტის როლზე:

> **ეს იყო ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია და, ჩემდა გასაკვირად, ჩემთვის ძალიან საწყენად, პირდაპირ თუ ირიბად, ამ პროცესებში საქართველოს პრეზიდენტი ჩაერთო. სხვაგვარად ვერ ავხსნი იმ ფაქტს, როდესაც გასულ ორშაბათს ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ კენჭისყრა ჩატარებულიყო პარასკევ დღეს და სამშაბათს საქართველოს პრეზიდენტმა დააჯილდოვა აწ განსვენებული ქალბატონი ირინა ენუქიძე. სამშაბათს გურამ გირგვლიანმა (სანდრო გირგვლიანის მამა) ამ ღონისძიებაზე განაცხადა, თუ ლევან მურუსიძე აირჩეოდა მოსამართლედ, იგი ჯილდოს დააბრუნებდა. ნებისმიერ ობიექტურ დამკვირვებელს შეექმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს პრეზიდენტიც არის ამ მოძრაობაში ჩაფლული და იგი ცდილობდა რაღაც ფორმით მიეთითებინა იუსტიციის საბჭოსთვის, რა გადაწყვეტილება მიეღო ლევან მურუსიძესთან დაკავშირებით. როდესაც საქართველოს პრეზიდენტი გამოდის და კონკრეტულ გზავნილს თავისი სიტყვით და მოქმედებით აკეთებს, ბუნებრივია, ეს შეიძლება აღქმული იქნას ზეწოლად. ლევანის არჩევის შემდეგ, პრეზიდენტი გამოვიდა ტელევიზიით და განაცხადა, რომ ის იბრძოლებს სამართლიანი სასამართლოსთვის. ე.ი. ეს რას ნიშნავს, სასამართლო არის უსამართლო, მოხდა უსამართლო გადაწყვეტილების მიღება ბატონ ლევანთან დაკავშირებით და იგი ნებისმიერი სამართლებრივი გზით შეეცდება ამის გამოსწორებას? ამას აკეთებს საქართველოს პრეზიდენტი. ის ამას აცხადებს დამოუკიდებელი ხელისუფლების მისამართით. რა დავარქვათ ამას, თუ არა ზეწოლა სასამართლოზე?“[9]**

2015 წელს, მოსამართლეთა რიგით XV კონფერენციაზე, მოსამართლე შოთა გეწაძემ წარმოადგინა განცხადება, რომელიც მოსამართლეთა მხარდაჭერის შემთხვევაში, დამტკიცდებოდა, როგორც მათი ერთიანი განცხადება. კერძოდ, განცხადებაში მითითებული იყო:

> **...საქართველოს მოსაართლეები შეშფოთებულნი არიან ბოლო დროს, როგორც მთელი სასამართლოს სისტემის, ისე ცალკეული მოსამართლის მიმართ შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელების გამო, რაც მიზანმიმართული დისკრედიტაციის სახეს იღებს და საფრთხეს უქმნის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი და მიუღებელია სხვადასხვა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირისა და დაჯგუფების მხრიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებზე, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების მიზნით, პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზეწოლის მცდელობის ფაქტები... ასევე გულდასაწყვეტია, როდესაც ყოველგვარი ეთიკური ნორმის დაცვის გარეშე გამოთქმული დაუსაბუთებელი ბრალდებები მიმართულია მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე მოქმედი უზენაესი სასამართლოს მოსამართლისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის – ლევან მურუსიძის მიმართ, რომელიც მოსამართლეთა დიდი უმრავლესობის ნდობითაა აღჭურვილი. ამგვარი ბრალდების ავტორებს, რომლებიც ხშირად იურიდიული სფეროს წარმომადგენლები არიან, როგორც ჩანს, შეხსენება სჭირდებათ, რომ ნებისმიერი კრიტიკა უნდა იყოს დასაბუთებული, არგუმენტირებული, არ შეიცავდეს ადრესატის პიროვნების შეურაცხყოფას და მით უფრო ცილისწამებას, რაც უკვე სცილდება გამოხატვის თავისუფლების საყოველთაოდ აღიარებულ ფარგლებს“.**

---

9 „შოთა გეწაძე: პრეზიდენტი ცდილობდა, ზეწოლა მოეხდინა იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე“ საინფორმაციო სააგენტო Ipress.ge. 2015 წლის 26 დეკემბერი https://ipress.ge/new/shotha-getsadze-prezidenti-ts/

1.2 საჯარო განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე მიხეილ ჩინჩალაძესთან დაკავშირებით

2017 წლის 29 მაისს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, შოთა გეწაძემ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე მიხეილ ჩინჩალაძის კანდიდატურა წარადგინა, რომელიც შემდგომში ამ თანამდებობაზე აირჩიეს. საბჭოს სხდომაზე მოსამართლე შოთა გეწაძემ აღნიშნა:

> **ვიფიქრე ამ საკითხზე და ამ ადამიანსაც ველაპარაკე აღნიშნულის თაობაზე. ეს ადამიანი არის მიხეილ ჩინჩალაძე, რომელსაც შევთავაზე ვაკანტური ადგილი. იგი არის ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე. ცოტა ხნის წინ ის ჩვენ უვადო მოსამართლედ დავნიშნეთ. იგი არის ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ერთ-ერთი რიგითი მოსამართლე და მე გთავაზობთ მის კანდიდატურას, რომ მხარი დაეჭიროს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ვაკანტურ პოზიციაზე".**

2016 წლის 22 თებერვალს მოსამართლე შოთა გეწაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის მამუკა ახვლედიანის განცხადების[10] პასუხად შემდეგი განმარტება გააკეთა:

> **დიდი ხანია მიხეილ ჩინჩალაძესთან ვმეგობრობ, 2003 წლიდან მოყოლებული, მე მისი მეგობარი ვარ და არა მონა".**[11]

1.3 განცხადებები თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის მამუკა ახვლედიანის გადაყენებაზე

2016 წლის 22 თებერვალს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ თანამდებობიდან გადააყენა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი. საბჭოს სხდომაზე საკითხი განსახილველად მოსამართლე შოთა გეწაძემ დააყენა.

როგორც მან განმარტა, აღნიშნული გადაწყვეტილება მამუკა ახვლედიანის მენეჯმენტურმა შეცდომებმა განაპირობა და არ უკავშირდებოდა მის კრიტიკულ საჯარო განცხადებებს.[12]

ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში კანდიდატმა შოთა გეწაძემ მიღებული გადაწყვეტილება ასე განმარტა:

> **გულახდილად გეტყვით, რომ მამუკა ახვლედიანი ძალიან უცნაურად იქცევა ბოლო პერიოდში, თუმცა, მისი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება არ უკავშირდება მის დევნას. საბჭომ განახორციელა კანონით მინიჭებული უფლებამოსილება. ეს არ შეიძლება აღქმული იქნას დევნად. მამუკა ახვლედიანი მუდმივად არიდებდა თავს საბჭოში მოსვლას და კომუნიკაციას. მან აირჩია ჩვენთან ტელევიზით კომუნიკაციის გზა, რაც არაჯანსაღი დამოკიდებულებაა კოლეგების მიმართ".**[13]

---

10 2016 წლის 3 ოქტომბერს გავრცელდა „რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიასა და საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის, მამუკა ახვლედიანის სავარაუდო საუბრის ფარული ჩანაწერი, სადაც მამუკა ახვლედიანი შოთა გეწაძეს „მიხეილ ჩინჩალაძის მონად" მოიხსენიებს.

11 მოსამართლე შოთა გეწაძე: მამუკა ახვლედიანს უკანონო საქმიანობის განხორციელებაში ხელს ვუშლიდი და გაბრაზებულია. 2016 წლის 4 ოქტომბერი. საინფორმაციო სააგენტო kvira.ge http://kvira.ge/285099

12 „შოთა გეწაძე – მამუკა ახვლედიანის თანამდებობიდან გათავისუფლება მის საჯარო განცხადებებთან კავშირში არ არის" – interpressnews.ge, 2016 წლის 22 თებერვალი. https://bit.ly/2N6sdqU

13 შოთა გეწაძე „პრიორიტეტის" ეთერში. ტელეკომპანია „იბერია", 2016 წლის 22 თებერვალი. https://www.youtube.com/watch?v

1.4 საჯარო განცხადებები მოსამართლეთა ავტორიტეტის დასაცავად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ახალი რეგულაციების საჭიროებაზე

2017 წლის 4 აპრილს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც საუბარი იყო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ახალი რეგულაციების საჭიროებასა და მედიის თვითრეგულირების მექანიზმების გაუმჯობესებაზე, რაც, მათი აზრით, სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლეთა რეპუტაციის დაცვას ემსახურება.[14] აღნიშნულ ინიციატივას საზოგადოებაში ფართო განხილვები მოჰყვა.

ერთ-ერთ ინტერვიუში კანდიდატმა მოცემულ საკითზე განაცხადა:

> **ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ ერთ-ერთი ალტერნატივა იყოს ჯარიმა, ჩემი და საბჭოს წევრების პოზიციაა, რომ მოსამართლის შეურაცხყოფაზე რეგულაციები უნდა არსებობდეს და როგორი იქნება ეს რეგულაციები, ერთად უნდა მოვიფიქროთ".**

ასევე, კანდიდატმა მიუთითა, რომ

> **შეურაცხყოფის გამო, მოსამართლეს შეუძლია სასამართლოში სარჩელის შეტანა, მაგრამ ეს რთული და როგორც წესი, არაეფექტური გზაა. არაეფექტურში ვგულისხმობ იმას, რომ დროში გაწელილი პროცესია – მოითხოვს სარჩელის შეტანას, ამ სარჩელის განხილვის რამდენიმეთვიან ვადას, სხვადასხვა ინსტანციას და ა.შ. მთავარი საკითხი ამ დროს მტკიცების ტვირთია – თუ მოსამართლეს დააბრალეს, რომ მაგალითად, ის არის ცხოველი, მან თურმე უნდა ამტკიცოს, რომ არ არის ცხოველი. მტკიცების ტვირთი აქ სხვაგვარად უნდა გადანაწილდეს".[15]**

3. კანდიდატ შოთა გეწაძის გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

- **კითხვა: როგორ დაახასიათებდით თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, მიხეილ ჩინჩალაძეს?**

მოსამართლე შოთა გეწაძის პასუხი:

> **ბატონ მიხეილს დიდი ხანია ვიცნობ. ჩვენ ერთად მოგვიწია მუშაობა იმ პერიოდში, როდესაც არც მე და არც ის მოსამართლეები არ ვიყავით და ვიყავით სხდომის მდივნები. ჩვენ სასამართლო სისტემაში გაზრდილი ადამიანები ვართ და ძალიან ბევრი ეტაპი გვაქვს გავლილი სასამართლო სისტემაში. მაქვს შესანიშნავი ურთიერთობა მასთან. როგორც თავმჯდომარეს, მხოლოდ დადებითად დავახასიათებ. ბევრი კარგი თვისება აქვს და ერთ-ერთი თვისება არის ის, რომ ძალიან გამჭრიახი გონების ადამიანია, რაც მე ძალიან მომწონს. ნიჭიერი კაცია".**

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის, დიმიტრი გვრიტიშვილის შეკითხვა: **„ადვოკატთა ასოციაციამ მიიღო რეზოლუცია, სადაც გაკეთდა შეფასებები, რომ მოსამართლეები წინა ხელისუფლების დროს იყვნენ რეპრესიული აპარატის ნაწილები და იყო შერჩევითი სამართალი ასეულობით ადვოკატის მიმართ, რეპრესირებული იქნა ასეულობით ადვოკატი. ასევე, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დამკვიდრებულია უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღების მანკიერი პრაქტიკა. აღიქვამთ თუ არა ამგვარ განცხადებას სასამართლო ხელისუფლების დასაშვებ კრიტიკად?**

---

[14] „იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლის შეურაცხყოფაზე საკანონმდებლო რეგულაციის დაწესების ინიციატივით გამოდის". Interpressnews.ge 2017 წლის 4 აპრილი. https://bit.ly/2IAAw9P

[15] „შოთა გეწაძე: მოსამართლის შეურაცხყოფაზე რეგულაციები უნდა არსებობდეს". kvira.ge 2017 წლის 29 აპრილი http://kvira.ge/326250

კანდიდატის პასუხი:

ეს ფაქტები შემფასებელმა უნდა ამტკიცოს, რადგან ეს მთლად შეფასების ფარგლებში არ თავსდება. ეს არის ფაქტობრივი მონაცემების შემცველი ინფორმაცია, რაც უფრო ფაქტისაკენ იხრება, ვიდრე შეფასებისაკენ. ფაქტი, როგორც დამკვიდრებულია ევროპული კანონმდებლობით და თავისი სასამართლოს პრაქტიკით, უნდა ამტკიცოს მისმა დამსახელებელმა. არა მგონია მათ რაიმე კონკრეტული მაგალითები და ფაქტები მოეყვანათ და დაემტკიცებინათ. შესაბამისად, ძალიან რთულია ამის მოქცევა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში".

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ აბორტსა და ჩანასახის უფლებებზე დასმული კითხვების პასუხად, კანდიდატმა განაცხადა:

...ჩასახვის მომენტიდანვე ის არის ადამიანი, ნაყოფი, რომელსაც აქვს ყველა ნიშან-თვისება, პერსპექტივა იმისა, რომ დაიბადოს. ამიტომაც თავად მოსაზრებას, რომ 12 კვირამდე ყოველგვარი ნებართვის გარეშე დასაშვებია აბორტი, არ ვეთანხმები".

იუსტიციის საბჭოს წევრის, ნაზი ჭანეზაშვილის კითხვა სასამართლო სისტემაში არსებულ ვითარებაზე 2012 წლამდე და მას შემდეგ: **„რამდენად ასრულებდა სასამართლო თავის ფუნქციას, ეკონტროლებინა ხელისუფლების სხვა შტოები და დაეცვა ადამიანის უფლებები"?**

კანდიდატის პასუხი:

მე 2003 წელს დავიწყე სასამართლო სისტემაში მუშაობა... თუმცა... ამ პერიოდში მე ვმონაწილეობდი სამართალწარმოებაში, როგორც სხდომის მდივანი, შესაბამისად, ნაკლები შესაძლებლობა მქონდა შემეფასებინა, როგორ ართმევდა თავს სასამართლო თავის ფუნქციას. 2011 წელს გავხდი მოსამართლე. რა თქმა უნდა, მანამდე არსებულ პერიოდზეც მაქვს ჩემი შეხედულება, თუმცა, ჩემი შეხედულება არ არის ისეთი სიღრმისეული, როგორიც მას შემდეგ, რაც მე უკვე მოსამართლე გავხდი...გიპასუხებთ, რომ გარკვეულწილად ასრულებდა თავის ფუნქციას, თუმცა, რა თქმა უნდა, იყო პრობლემები და ეს პრობლემები ყველასთვის ცნობილია... 2003, 2005 წლებში იყო დამოუკიდებლობის, ინსტიტუციურობის, კორუფციის პრობლემები. შემდგომში, უფრო გაუმჯობესდა ვითარება... დღეს სასამართლო არის დამოუკიდებელი და გამართული, რაც ჯერ აქამდე ასეთი არ ყოფილა, მართალია, ესეც არაა ჩემთვის საკმარისი, თუმცა ასეთი ჯერ არ გვქონია."

- კითხვა: რა შემთხვევაში მიმართავთ საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებით და არის თუ არა კონსტიტუციური წარდგინება საერთო სასამართლოს მოსამართლისთვის ვალდებულება, თუ იგი ჩათვლის რომ გამოსაყენებელი კანონი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება?

მოსამართლე შოთა გეწაძის პასუხი:

ვალდებულებად მე ამას ვერ ვუყურებ, ამის შესაძლებლობას კანონმდებლობა არ მაძლევს. თუმცა, სასურველია, საერთო სასამართლოს მოსამართლემ მიმართოს საკონსტიტუციოს, თუ ჩათვლის, რომ გამოსაყენებელი ნორმა კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. თუმცა, არის მეორე, უფრო მარტივი გზა, პირდაპირ კონსტიტუციაზე დაყრდნობით გადაწყდეს ეს დავა, ამის უფლებამოსილება აქვს საერთო სასამართლოს მოსამართლეს. როგორც კონსტიტუცია, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არის უშუალოდ მოქმედი სამართალი... თუმცა, თუკი საკითხის სირთულიდან გამომდინარე, ჩვენ მივხვდებით, რომ ჩვენი კომპეტენცია არ არის საკმარისი, მაშინ სჯობს, მივმართოთ საკონსტიტუციო სასამართლოს, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს აქვთ სპეციალური კომპეტენცია კონსტიტუციურ საკითხებში. თუმცა, თუ გადასაწყვეტი საკითხი არც თუ ისე რთულია, მაშინ ვიყენებთ პირდაპირ კონსტიტუციას და ეს არაერთხელ გამიკეთებია".

6. კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

1. ქონება (უძრავი/მოძრავი)

2017
$ 10 000

2013
ბინა თბილისში
$ 55 000

2. ფინანსები

2011-2018 წლებში შოთა გეწაძემ შრომის ანაზღაურების სახით სასამართლო სისტემიდან 589,541 ლარი მიიღო. მისი საშუალო წლიური ანაზღაურება თბილისის საქალაქო სასამართლოში 68,308 ლარს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოში – 82,513 ლარს შეადგენდა. სააპელაციო სასამართლოში დანიშვნის შემდეგ გაიზარდა როგორც მოსამართლის შრომის ანაზღაურება, ასევე მისი დანაზოგი. მოსამართლე შოთა გეწაძეს სწორედ 2016 წელს უფიქსირდება ყველაზე მაღალი დანაზოგი – 41,607 ლარისა და 83 ათასი აშშ დოლარის სახით.

სხვა მოსამართლეების მსგავსად, შოთა გეწაძის მეუღლეც სახელმწიფო სამსახურშია დასაქმებული. კერძოდ, 2014 წლიდან თეონა ხმალაძე საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში მუშაობს, სადაც ყოველწლიური შრომითი ანაზღაურების სახით, დაახლოებით 20 ათასს ლარს გამოიმუშავებს.



- 2016 წელს მოსამართლე შოთა გეწაძის ანგარიშზე, ხელფასის გარდა, მოულოდნელად 83,000 აშშ დოლარი და 41,607 ლარი ჩნდება, საიდანაც თანხის ნაწილის დასაბუთება ვერ ხერხდება. ამავე წელს მოსამართლის ჯამური შემოსავალი 105,000 ლარი იყო, რასაც ემატება ბანკიდან აღებული კრედიტი 50,000 აშშ დოლარის ოდენობით. წლის განმავლობაში მისი ჯამური გასავალი 37,270 ლარს შეადგენდა.

შემოსავლისა და გასავლის ერთმანეთან შედარებით მიღებული თანხა – 67,730 ლარი – დადებითი ბალანსის მიუხედავად, შეუსაბამოა დანაზოგზე ასახულ მონაცემებთან. კერძოდ, კანდიდატი 83,000 ათასი აშშ დოლარისა და 41,607 ლარის მობილიზებას იმ შემთხვევაშიც ვერ მოახერხებდა, თუკი ჩავთვლით, რომ მან 2016 წლის მთელი დარჩენილი ხელფასი, ბანკიდან მიღებული კრედიტი, ამავე წელს მეუღლის მიერ მიღებული წლიური ანაზღაურება (24,447 ლარი) და 2015 წლის დანაზოგი (14,000 ლარი) ზემოხსენებული თანხების შესაგროვებლად გამოიყენა. ღია წყაროების დამუშავების შედეგად, ვერ დგინდება, როგორ მოახერხა კანდიდატმა, დაახლოებით, 27,000 აშშ დოლარის მობილიზება.

ავტორები: ედუარდ მარიკაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ბერაია, ირაკლი გვარამაძე, ზაზა აბაშიძე

რედაქტორები: დავით პაიჭაძე, გიორგი ჩიტიძე, სოფიო ასათიანი, ინა გრიგალაშვილი დიზაინი: ბესიკ დანელია

ფონდი დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის:
სალომე კვირიკაშვილს, მარიამ ორჟონიას, ლაშა ჯუღელს, თინათინ ჭაჭუკაშვილს, გვანცა კახიძეს,
თეონა ბაბუციძეს, ხატია ნიკოლაიშვილსა და შოთა ქობალიას

მ ო მ ზ ა დ ე ბ ულ ი ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ღ ი ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ფ ო ნ დ ი ს მ ი ე რ